# საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკისა და კანონმდებლობის ეფექტურობის ანალიზი

**მარინა კიკვაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - სოციალური მეცნიერებები: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

აკადემიური ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე

ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2025**

**განაცხადი**

*„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად*

**მარინა კიკვაძე,**

**30.01.2025"**

# აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს საქართველოს პოლიტიკისა და კანონმდებლობის ეფექტურობას გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით, ფოკუსირებულია მათ შესაბამისობაზე საერთაშორისო ვალდებულებებთან და ეროვნულ მიზნებთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების, საქართველოს კლიმატის სტრატეგია 2030, განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDCs) და ეროვნული ადაპტაციის გეგმა, ანალიზის გზით ნაშრომი განიხილავს კავშირს საერთაშორისო ჩარჩოებს, როგორიცაა პარიზის შეთანხმება და ადგილობრივ პოლიტიკას შორის. გარდა ამისა, ის აერთიანებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებსა და ექსპერტთა მოსაზრებებს, რათა შეაფასოს საზოგადოების აღქმა და ინსტიტუციური რეაგირების საჭიროებები კლიმატის გამოწვევებზე.

კვლევა ასახავს კრიტიკულ გამოწვევებს, მათ შორის ფრაგმენტული მმართველობის სტრუქტურებს, შეზღუდულ ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს, გენდერული და სოციალური ინკლუზიის არასაკმარის ინტეგრაციას და ძლიერი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ნაკლებობას. ამავდროულად, ის გვთავაზობს არსებული გამოწვევების გადაჭრის შესაძლებლობებს ევროკავშირის კლიმატის კანონის, გაერთიანებული სამეფოს კლიმატის ცვლილების აქტისა და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის განხილვის გზით, როგორიცაა გერმანიის სპეციფიკური პოლიტიკა და დანიის განსაკუთრებული აქცენტი ანგარიშვალდებულებაზე.

მიმოფანტული ინიციატივების კონსოლიდაციით და ერთიანი საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელობის ხაზგასმით, ნაშრომი ხაზს უსვამს სტრატეგიული რეფორმების აუცილებლობას საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. რეკომენდაციები მოიცავს ადგილობრივი კლიმატის მმართველობის

გაძლიერებას, საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობას, სოციალურად ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ინტეგრირებას და ადაპტაციის დაგეგმვის ინსტიტუციონალიზაციას. კვლევა საბოლოოდ წარმოადგენს საგზაო რუკას კლიმატის ნეიტრალიტეტის მისაღწევად და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

**საძიებო სიტყვები:** კლიმატის ცვლილება, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, საზოგადოებრივი აზრი, განახლებადი ენერგია, საქართველო, საერთაშორისო ვალდებულებები, საკანონმდებლო ბაზა, მდგრადი განვითარება, პარიზის შეთანხმება.

## Abstract

This thesis evaluates the effectiveness of Georgia's policies and legislation in addressing environmental protection and climate change, focusing on their alignment with international obligations and national objectives. Through a comprehensive analysis of key documents, including Georgia’s Climate Strategy 2030, the updated Nationally Determined Contributions (NDCs), and the National Adaptation Plan, the research highlights the interplay between international frameworks such as the Paris Agreement and local policy implementation. Additionally, it integrates insights from public opinion surveys and expert reports to assess societal perceptions and institutional responses to climate challenges.

The study identifies critical challenges, including fragmented governance structures, limited financial and technical resources, insufficient integration of gender and social inclusion, and a lack of robust monitoring and evaluation mechanisms. Simultaneously, it explores opportunities for improvement by synthesizing international best practices from the European Union’s Climate Law, the United Kingdom’s Climate Change Act, and other national approaches, such as Germany’s sector-specific policies and Denmark’s emphasis on accountability.

By consolidating scattered initiatives and emphasizing the importance of a unified legal framework, the thesis underscores the need for strategic reforms to enhance the effectiveness of Georgia’s climate policies. Recommendations include strengthening local climate governance, fostering public-private partnerships, integrating socially inclusive and gender-sensitive policies, and institutionalizing adaptation planning. The research ultimately presents a roadmap for achieving climate neutrality, ensuring sustainable development, and positioning Georgia as a regional leader in climate governance.

**Keywords**: Climate change, environmental policy, public opinion, renewable energy, Georgia, international obligations, legislative framework, sustainable development, Paris Agreement.